



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**განკარგულება**  
**GEORGIA**  
**THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY**



განკარგულება:გ-135. 135243303

თარიღი:25/11/2024

**მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (შენობის) ს/კ: 42.06.40.069-ზე არსებული 18.85 კვ.მ ფართის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 25 ოქტომბრის № 2024/5789 მომართვის საფუძველზე

**მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:**

1. მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს დაბა მესტიაში ს/კ 42.06.40.069 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე არსებული 18.85 კვ.მ ფართი „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს“ 2 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით.
2. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ.ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ №12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

